



MES 4 21 0000807830



20/08/2021

## საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 06.08.2021

სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ

სხდომის დასრულების დრო: 20:15სთ

სხდომის თავმჯდომარე: ნინო იმნაძე (I საკითხი)

საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანი (II, III, IV საკითხები)

საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომი-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:**

1. **ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინო იმნაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე (სხდომის თავმჯდომარე I საკითხზე);
3. **მარიამ შენგელია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **ანა ფირცხალაშვილი** - შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" სამეცნიერო კვლევების მიმართულებით ვიცე-რექტორი;
5. **გაიანე სიმონია** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი

6. **გაიოზ ფარცხალაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
7. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
8. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
9. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
10. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
11. **დიანა მჭედლიშვილი** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
12. **ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
13. **თეონა მატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
14. **ნინო ინასარიძე** - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი;
15. **თამარ ჩხეიძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
16. **გიორგი ლაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე მოწვეული წევრები:**

1. **გიორგი ჩილინგარაშვილი** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი;
2. **ხათუნა თოდაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ნარკოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი;
3. **ივანე აბიათარი** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის მედიცინისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ინტიტუტის დირექტორი, დეპარტამენტის/სკოლის - "მედიცინის სკოლა" ხელმძღვანელი, ამავე უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
4. **ნინო ოკრიბელაშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, მედიცინის ფაკულტეტის ფსიქიატრიისა და სამედიცინო ფსიქოლოგიის კათედრის პროფესორი;
5. **მაია ბიწკინაშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ამავე უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის შინაგან დაავადებათა პროპედევტიკისა და ლაბორატორიული დიაგნოსტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი;
6. **თამარ ვალიშვილი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სამკურნალო მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ამავე უნივერსიტეტის პროფესორი;

7. **ბიბინა კულუმბეგოვი** - ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრის კლინიკური განვითარების განყოფილების ხელმძღვანელი, შპს "კავკასიის საერთაშორის უნივერსიტეტის" მედიცინის ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი;
8. **ზაზა ავალიანი** - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" მედიცინის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი;
9. **მარინე გელანტია** - შპს "აკადემიკოს ო.ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის" გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
10. **ნინო შარიქაძე** - შპს "ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის" კლინიკური ონკოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი;
11. **ლევან რატიანი** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალური დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ანესთეზია-რეანიმაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი;
12. **გივი ჯავაშვილი** - საქართველოს ბიოეთიკის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საოჯახო მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;
13. **ივანე ჩხაიძე** - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს წევრი, მ იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
14. **ხათუნა ზალდასტანიშვილი** - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს პროფესიული რეგულირების სამმართველოს უფროსი;
15. **შორენა წიკლაური** - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასისტენტ პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის სიმულაციური ცენტრის ხელმძღვანელი;
16. **ნათია სხვიტარიძე** - სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მრჩეველი გლობალური ჯანმრთელობის საკითხებში;
17. **მაია ზალდასტანიშვილი** - სს "ინფექციური პათოლოგიის შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის" ინფექციური სავადმყოფოს მიმღები განყოფილების უფროსი, ექიმი ინფექციონისტი;

### სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	სოფო ქურასბედიანი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი
2	ლაშა მარგიშვილი	დირექტორის მოადგილე
3	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

### აკრედიტაციის ექპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	მაირი სკოტი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ხათუნა საგანელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	თამარ გოდერძიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	დავით მაკასარაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	ლევან ჯაყელი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	თამარ ალექსიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	დავით ელისაბედაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	ნინო ქიმერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
9	თათია უბერი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
10	ნინო პატარაია	(ჩაერთო „ზუმით“)	III
11	ეკა გეგეშიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
12	თამარ გვიანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
13	მაია ჭინჭარაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
14	თამარ თავხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
15	ნინა არაბული	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
16	მანანა ხაჩიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
17	ქრისტინე ჩიხლაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
18	კონსტანტინე ებრალიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV

აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup>-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა სხდომის თავმჯდომარემ ნინო იმნაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup>-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27<sup>5</sup>-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:**

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მედიცინის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის „სამართლის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

**შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით**

- არა

**დამტკიცებული დღის წესრიგი:**

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მედიცინის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის „სამართლის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

**პირველი საკითხი:** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მედიცინის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაციასაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მედიცინა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2011 წლის 25 ნოემბრის N361 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	მედიცინა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	-
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0912 მედიცინა
12	სწავლების ენა	ქართული

13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 6010, ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქუჩა N35/32, უნივერსიტეტის II კორპუსი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

✓ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

✓ კი

თვითაცილება განაცხადა გაიოზ ფარცხალაძემ, თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა**

**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ, თვითშეფასების ანგარიში და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები ექსპერტთა ჯგუფს გაეგზავნა 2021 წლის 9 ივლისს. ექსპერტთა ჯგუფმა მოახდინა კონკრეტული სტანდარტების იდენტიფიცირება და გადანაწილება ექსპერტებზე, თუმცა ყველა წევრმა წაიკითხა ყველა დოკუმენტი და მოამზადა საკვლევი სფეროები ორდღიანი შეხვედრისთვის, რომელიც დაიგეგმა 2021 წლის 22/23 ივლისს. 2-დღიანი დისკუსიები ჩატარდა დისტანციურად, „ზუმის“ პლატფორმის გამოყენებით. ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის დროს გამოითხოვა რამდენიმე დოკუმენტი, რომლების დაწესებულებამ გამოაგზავნა ვიზიტის დასრულების შემდეგ. სსიპ - ბათუმის რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ასოცირებულ კლინიკებში ადგილზე ვიზიტი განხორციელდა 23 ივლისს, ადგილზე ფიზიკურად მივიდა ექსპერტთა ჯგუფის ორი წევრი, ხოლო დანარჩენები ვიზიტში მონაწილეობდნენ დისტანციურად.

შეხვედრები ჩატარდა წინასწარ დაგეგმილი განრიგის მიხედვით უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების გუნდთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ხარისხის უზრუნველყოფის განყოფილებასთან და დამატებითი ვიზიტი შედგა პროგრამის ხელმძღვანელთან და დეკანთან.

ექსპერტის თქმით, ვიზიტისათვის შერჩეულ სპეციალურ სივრცეებს განეკუთვნებოდა სამედიცინო განათლებისა და პროფესიული განვითარების ცენტრი (ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის - OSCE ოთახების ჩათვლით), ლაბორატორიები (მათ შორის დასავლეთ საქართველოს რეგიონული ქრომატოგრაფიის ცენტრი) და ის ადგილები, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ შეკრება სოციალური მიზნებისთვის ან სამეცადინოდ.

სტუდენტური პორტალის (ჩაამატეთ ბმული) სადემონსტრაციო ჩვენება ადგილზე ჩაატარა სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა. ადგილზე ვიზიტები განხორციელდა მ. იაშვილის სახელობის ბათუმის დედათა და ბავშვთა ცენტრალური ჰოსპიტალსა და ბათუმის რეფერალურ ჰოსპიტალში. ბოლოს კი ექსპერტებმა მიგნებები გააცნეს დაწესებულებას.

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მედიცინის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

**პირველისტანდარტი** - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეორესტანდარტი** - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მესამესტანდარტი** - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეოთხესტანდარტი** - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეხუთესტანდარტი** - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:**

1. მთელი პროგრამის განმავლობაში, სტუდენტების მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის პროგრესის მონიტორინგის პროცესები უნდა გახდეს უფრო მკაფიო. საუკეთესო შემთხვევაში, მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის შედეგად განხორციელებულ გაუმჯობესებათა მაგალითებით (მაგალითად, ინტეგრირებული სწავლა და შეფასება, PBL ტუტორის უნარები და OSCE გამოცდები).

2. რეკომენდებულია, სიზუსტისა და თანამიმდევრულობის მიზნით, გადაიხედოს და სადაც საჭიროა შესწორდეს სილაბუსებში ასახული ინფორმაცია საათობრივი განაწილების შესახებ.

3. რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო მოდულების (კურსების) წინაპირობები.

4. სილაბუსებში უნდა გადაისინჯოს სწავლის შედეგების შეფასების კრიტერიუმები: შეფასების მეთოდები უნდა პასუხობდეს კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს და უნდა შეფასდეს თითოეული კურსის ყველა სწავლის შედეგი.

5. რეკომენდებულია წიგნები ჩანაცვლდეს ახალი გამოცემებით. იმ შემთხვევაში, თუკი ქართულენოვანი ლიტერატურა არ არის გამოცემული, საჭიროა მომზადდეს ე.წ. „ჰენდაუთები“ როგორც ელექტრონული, ასევე ბეჭდური ფორმით.

6. სტუდენტთა შეფასების მეთოდები უნდა პასუხობდეს თითოეული კურსის სწავლის შედეგებს.

7. იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სტუდენტთა კლინიკური უნარების განვითარების ეფექტურად შეფასება მთელი პროგრამის განმავლობაში, განსაკუთრებით კი კლინიკურ ფაზაში, სადაც ვითარდება და იხვეწება მრავალი მაღალი დონის უნარი, რეკომენდებულია რომ კიდევ უფრო მეტად განვითარდეს OSCE გამოცდები პროგრამის სხვა კურსებში.

8. რეკომენდებულია, დაიხვეწოს შეფასების კრიტერიუმები 360-გრადუსით შეფასების მეთოდში, განისაზღვროს მისი შესატყვისობა სწავლის შედეგებთან და გადამზადდეს ყველა მონაწილე შემფასებელი.

9. უნივერსიტეტმა უნდა განამტკიცოს საერთაშორისო კავშირები; შექმნას უნივერსიტეტის გარეთ სტუდენტთა საერთაშორისო მობილობისა და პროექტებსა და კონფერენციებში მონაწილეობის მეტი შესაძლებლობა.

10. სპეციალურად დანიშნული პერსონალის წევრის (ების) გამოყოფა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება პერსონალის გადამზადებისა და განვითარების მოცულობასა და განვითარებაზე, ასევე პერსონალის განვითარებისთვის ვადების შექმნაზე.

11. OSCE, PBL 360 გრადუსით შეფასებებისა და სხვა მეთოდებისთვის პერსონალის სისტემური გადამზადების დანერგვა.

12. რეკომენდებულია, OSCE საგამოცდო ცენტრის შემდგომი განვითარება, რათა შესაძლებელი იყოს OSCE გამოცდების გაფართოება პროგრამის ფარგლებში დამატებითი ასპექტებისთვის.

13. უნივერსიტეტმა უნდა გადახედოს თავის მიდგომას თავისი შეფასების პროცესების ხარისხის უზრუნველყოფისადმი, რათა შეამციროს ცვალებადობა სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევაში. ეს განსაკუთრებით ეხება პროგრამის საბაზისო სამეცნიერო დონეზე ესეების გამოყენებას, როცა შეფასება ხორციელდება მრავალი სხვადასხვა ტუტორის მიერ ზომიერების გარეშე და 360 გრადუსით შეფასების მტკიცე სტანდარტიზაციის ნაკლებობით, რაც დაგეგმილია პროგრამის კლინიკური ფაზისთვის, მრავალი შემფასებლით, სხვადასხვა ადგილებითა და კლინიკური შემთხვევების სხვადასხვა სახეების გამოყენებით, რათა გამოიტანონ დასკვნები სტუდენტთა შესაძლებლობების დონის შესახებ.

14. პროგრამის საწყის ფაზაში შეფასებების სახით ესეების გამოყენება უნდა იყოს ხარისხით უზრუნველყოფილი ზომიერი პროცესის დანერგვის ხარჯზე, როგორც ინდივიდუალურ მოდულებში, თუკი ფასდება ერთზე მეტი შემფასებლის მიერ, ასევე ყველა მოდულის მასშტაბით, თითოეულ სემესტრში.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ ინსტიტუციისთვის რეკომენდაციები აბსოლუტურად მისაღებია. ამ ეტაპისთვის ბიბლიოთეკები თითქმის ბოლომდე არის შევსებული ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოებით. მუდმივად ხდება სტუდენტების წახალისება ენის შესწავლის მიზნით. გარდა ამისა დაწესებულებამ მოიპოვა გრანტი, რის შედეგადაც, განხორციელდება საბისტონის ცნობილი ქირურგიის სახელმძღვანელოს თარგმნა.

მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულება აქტიურად იყენებს ისეთი შეფასების მეთოდებს, როგორცაა OSCE და PBL, თუმცა რეკომენდაციების შესაბამისად მოხდება მათი რაოდენობის გაზრდა, ამ ეტაპზე კი დაწესებულებას აქვს 8 სადგური.

რაც შეეხება სასწავლო კურსებში სწავლის შედეგებისა და მეთოდების გაუმჯობესებას, მისი თქმით, ესეების გამოყენება პროგრამაში ახლა იწყება, რადგან ინტეგრირების მსგავს ეტაპზე პროგრამა ეხლა გადადის. დაწესებულებას იდენტური გამოცდილება გამოყენებული აქვს უცხოენოვან პროგრამაზე და შესაბამისად მიღებული იქნა გადაწყვეტილება აღნიშნული ასევე გადმოსულიყო ქართულენოვან პროგრამაზეც. ქართულ პროგრამაში, ესეები ჯერ არ გამოყენებულა და დაწესებულება პირველად იწყებს მათ მოდულებში ჩართვას, რის ფარგლებშიც აუცილებლად იქნება გათვალისწინებული ექსპერტთა რეკომენდაციები.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას უკვე დაწყებული აქვს საგამოცდო ცენტრთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ მუდმივად ხდება დაწესებულებაში არსებული ლაბორატორიებისა და წიგნადი ფონდის შევსება.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

მოწვეული საბჭოს წევრმა, ზაზა ავალიანმა დააზუსტა ხომ არ მიდის დღეს სამედიცინო განათლების ვექტორი აკრედიტაციაზე ორიენტირებულ სამედიცინო განათლებაზე. როდესაც დადგა სპეციალისტების პრაქტიკული საჭიროება, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მხოლოდ 2 ჩაერთო პროცესში. შესაბამისად კითხვის ნიშნის ქვეშ დგას საკითხი, თუ რამდენად არიან სტუდენტები მოტივირებულნი მოცემული პროგრამიდან გამომდინარე და რამდენად



გააჩნიათ მინიმალური, აუცილებელი კვალიფიკაცია. მოცემული საკითხი სცილდება აკრედიტაციისა და შეფასების ფარგლებს, თუმცა, როცა დადგა საჭიროება, კვალიფიციური კადრების მოძიება საკმაოდ გართულდა.

მოწვეული საბჭოს წევრმა, მარინე გელანტიამ დააზუსტა, არის თუ არა კრედიტები, საათები კლინიკური უნარების განვითარებისთვის, ასევე, არის თუ არა ბიუჯეტი პრიორიტეტების მიხედვით განაწილებული და კონკრეტულად ინფექციურ დაავადებების შესასწავლად ხომ არ არის საათები გაზრდილი, იმ მიზნით რომ მოცემული საკითხი უფრო სრულყოფილად იყოს მოცული.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ აღნიშნა, რომ პროგრამის აღწერილობაში ის შეფასების მეთოდებია მოცემული, რომელიც შემდგომ არ გამოიყენება. საყურადღებოა ასევე, რომ კლინიკური საგნების შეფასებაში მოცემულია საკონტროლო წერა, ის დაინტერესდა, რა იგულისხმებოდა აღნიშნულში. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენლების მხრიდან OSCE -ს შეფასების მეთოდი საჭიროებს გადახედვას. გარდა ამისა საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რატომ განისაზღვრა, „ინტერვენციული კარდიოლოგია“, „ტრანსპლანტოლოგია“ და „პლასტიკური ქირურგია“ სავალდებულო სასწავლო კურსებად, მაშინ როცა მოცემული სასწავლო კურსები ძირითადად არის არჩევითი.

საბჭოს წევრი, ანა ფირცხალაშვილი დაინტერესდა იმასთან დაკავშირებით, თუ რა კვლევები ტარდება მედიცინის მიმართულებით დაწესებულებაში და ასევე, პროფესორებისა და სტუდენტების რა ნაწილია ჩართული კვლევებში.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ სწავლის შედეგები არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული და შესაბამისად, სთხოვა ექსპერტთა ჯგუფსა და დაწესებულების წარმომადგენლებს მათი პოზიციების დაფიქსირება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

### **სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კლინიკურ მუშაობაში თითქმის ყველა სტუდენტი იყო აქტიურად ჩართული. ინსტიტუციის სტუდენტები თავიდანვე იყვნენ ჩართულნი პროცესებში, როგორც მოხალისე ჯგუფი. დღეისათვის დაწესებულებას აქვს ოფიციალურად აღრიცხული სტუდენტების სია, რომელიც მიწოდებულია ჯანდაცვისა და განათლების სამინისტროსთვის. პროგრამის 169 სტუდენტი დასაქმებულია უშუალოდ კოვიდ ცენტრებში. დანარჩენები კი სხვადასხვა პოზიციებზე განსხვავებულ კლინიკებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ასევე კვლევებზე და აღნიშნა, რომ ბიოსამედიცინო კვლევები საკმაოდ მაღალ დონეზეა. ინსტიტუციას აქვს ურთიერთობები ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებთან და მათთან თანამშრომლობით მოხდა კვლევის შედეგების გამოქვეყნება მაღალ რეიტინგულ ჟურნალებში. დაწესებულებას ასევე აქვს საკმაოდ კარგად აღჭურვილი იმუნოგენეტიკის ლაბორატორია, სადაც გენეტიკის მიმართულებით მაგისტრები და დოქტორანტები ეუფლებიან იმ უნარ-ჩვევებს, რომლებიც აუცილებელია ლაბორატორიაში მუშაობისთვის. შესაბამისად, სტუდენტები დასაქმებულნი არიან სხვადასხვა ლაბორატორიებსა და კვლევით ცენტრებში, როგორც სამედიცინო ასევე ბიოლოგიის ფაკულტეტიდან. მისი თქმით, 270 სტუდენტიდან 169 სტუდენტი დასაქმებულია ზემოაღნიშნული მიმართულებით.

დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო უნივერსიტეტებთან კვლევების მიზნით ბიოსამედიცინო და მედიცინის მიმართულებით. აღსანიშნავია ასევე საგრანტო პროექტები, რომელშიც უნდა მონაწილეობდეს სტუდენტი და მისი ჩართულობით უნდა წარიმართოს კვლევითი პროცესი. შესაბამისად, გამოქვეყნებულ შედეგებშიც აუცილებლად უნდა იყოს ასახული სტუდენტის მონაწილეობა. რაც სტუდენტების ჩართულობის წახალისების საშუალებაა. გარდა ამისა, ცალკე ცხადდება ახალგაზრდული საგრანტო პროექტები, სადაც თავად სტუდენტები წარადგენენ და ახორციელებენ პროექტებს, რომლებიც დაფინანსებულია თავად უნივერსიტეტის მიერ. ამჟამად მედიცინის მიმართულებით ხორციელდება ორი საგრანტო პროექტი.

ინსტიტუციის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სტუდენტთა ჩართულობა საკმაოდ დიდია. დაწესებულებას მოპოვებული აქვს 2 გრანტი. სტუდენტთა ნაშრომები ასევე წარდგენილ იქნა მე-17 პერინატოლოგიის ყრილობაზე, რომელიც ჩატარდა ონლაინ რეჟიმში პორტუგალიაში. თეზისი გულისხმობდა მელოგინებსა და ორსულებში ტყვიის დონის გამოკვლევის თავისებურებას.

პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა შეფასების სისტემასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ საკონტროლო წერა გულისხმობს შუალედურ გამოცდას. რაც შეეხება მინი OSCE-ს ეს არის მოდიფიცირებული მეთოდი, აღნიშნული არ გულისხმობს OSCE-ს სრულყოფილად ჩატარებას, რადგანაც დაწესებულებას ამ ეტაპზე აქვს სულ 8 სადგური. შესაბამისად სადაც იყო შესაძლებლობა შეტანილი იქნა OSCE-ს ელემენტები, რომ სტუდენტებს სრულად OSCE-ზე გადასვლის შემდგომ ჰქონდეთ გარკვეული გამოცდილება. რაც შეეხება კარდიოლოგიასა და პლასტიკურ ქირურგიას, აღნიშნული წარმოადგენს არჩევით სასწავლო კურსებს. შესაბამისად მოცემულ დოკუმენტებში არის ტექნიკური ხარვეზი.

### **15:10 საბჭოს სხდომას შეუერთდა- გიორგი ღაღანიძე**

პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე განმარტა, რომ ინფექციური დაავადებების საკითხები პროგრამის ფარგლებში არა ერთგან არის განხილული, თუმცა არ მომხდარა ამ კუთხით საათების დამატება. მისი თქმით, თუ საბჭო საჭიროდ ჩათვლის და მოგვცემს რეკომენდაციას საათების გაზრდასთან დაკავშირებით, დაწესებულება აუცილებლად განიხილავს აღნიშნულ საკითხს.

დაწესებულების წარმომადგენელმა კლინიკურ უნარებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სასწავლო სტრუქტურაში კლინიკური უნარები იწყება „კლინიკური უნარები 1“-ით და სრულდება „კლინიკური უნარები 5“-ით, რომელშიც გათვალისწინებულია ის კლინიკური უნარები, რომელსაც უნდა ფლობდეს სტუდენტი. რაც შეეხება ინფექციურ ნაწილს, დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს გარკვეული კომპონენტები მიკრობიოლოგიის სილაბუსში, რომელსაც ეპიდ მდგომარეობიდან გამომდინარე დაემატა ასევე ბიოუსაფრთხოების საკითხები.

კვლევებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს აქვს მიზნობრივი სამეცნიერო გრანტები. ამჟამად 2 მიმდინარე გრანტი არის მედიცინის მიმართულებით, ესენია, „მორბილული სიმსუქნის კლინიკური უსაფრთხოების გავლენა პაციენტების ჰომეოსტაზზე“ და „გენის პოლიმორფიზმის შესწავლა ავტოიმუნური თირეოიდიტი დაავადებულ პაციენტებში“. დაწესებულებას ასევე მოპოვებული ჰქონდა რუსთაველის სამეცნიერო გრანტი „აჭარაში გავრცელებულ ნოზოკომიური ინფექციებისა და ანტიბიოტიკების შესახებ“, რომელიც განხორციელდა პორტოს უნივერსიტეტთან ერთად.

რაც შეეხება სწავლის შედეგებს, ისინი ჩამოყალიბებულია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან შესაბამისობაში. სწავლის შედეგების შესაფასებლად პროგრამის ფარგლებში შექმნილია სამიზნე ნიშნულები, რომლებიც იწყება საბაზისო დონიდან და გრძელდება პრეკლინიკური და კლინიკური ფაზის გათვალისწინებით. გარდა ამისა, პროგრამაში გათვალისწინებულია სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელიც გულისხმობს როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ შეფასებას.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ აღნიშნა, რომ პროგრამის მიხედვით ყველა სტუდენტი არის ჩაბმული კვლევაში და წერენ დისერტაციებს, რაც ხარვეზია, რადგან ეროვნული სტანდარტი დიპლომამდელ დონეზე აღნიშნულს არ მოითხოვს, თუმცა აუცილებელია 10 კრედიტი დაეთმოს სამეცნიერო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. რაც შეეხება კვლევას, აღნიშნული არ არის მოთხოვნა ყველა სტუდენტისთვის, განსაკუთრებით კი თეზისის დაწერა და დაცვა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დარგობრივი მახასიათებლის გათვალისწინებით პროგრამას დაემატა სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებისთვის აუცილებელი სასწავლო კურსები, როგორცაა: „სამედიცინო ინფორმატიკა“, „ბიოსტატისტიკა“, ასევე „სამეცნიერო კვლევები მედიცინაში“, „მტკიცებითი მედიცინა“ და ა.შ.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ სტუდენტები არანაირ დისერტაციას არ იცავენ და არც მოეთხოვებათ. საუბარია იმაზე, რომ მე-4 კურსზე სტუდენტებს ეძლევათ კვლევითი

დავალება, რომლისთვისაც მათ აქვთ ერთი წელი, მე-6 კურსზე კი ხდება მოცემული დავალების ჩაბარება. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ტერმინი დისერტაცია სავარაუდოდ არის თარგმნის ხარვეზი.

საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ აღნიშნა, რომ ტერმინი „დისერტაცია: მოცემული იყო ექსპერტთა დასკვნის თარგმანში. მოცემული დოკუმენტი კი ინსტიტუციას არ შეუქმნია, ეს იყო ინგლისურენოვანი დოკუმენტი, რომელიც ითარგმნა. შესაბამისად, ხარვეზი ინსტიტუციისკენ არ არის მიმართული.

ექსპერტმა ისაუბრა სწავლის შედეგებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები სრულად შეესაბამება დარგობრივ სტანდარტს, თუმცა რეკომენდაციები რაც არის გაცემული ძირითადად ეხება შეფასების მეთოდებს, რომელიც ადასტურებს მიღწეულია თუ არა კონკრეტული სწავლის შედეგი. შესაბამისად, განსაზღვრული რეკომენდაციები ზუსტად ასახავს იმას, რომ ტექნიკური შეცდომები სამწუხაროდ ბევრი იყო, რაც გასაუბრებისას დაწესებულებამ არ გაიზიარა და ამტკიცებდა, რომ აღნიშნული წარმოდგენს ტექნიკურ შეცდომას. აქედან გამომდინარე, ძალიან დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს დოკუმენტების გაფორმებას, ვინაიდან დოკუმენტი არის ის ოფიციალური საბუთი, რომლითაც ხელმძღვანელობს საზოგადოება.

მოწვეული საბჭოს წევრმა, გივი ჯავაშვილმა აღნიშნა, რომ როგორც მიზნებში ასევე შედეგებში კარგად არის გაწერილი, რომ ექიმის ჩამოყალიბება მოიცავს არა მარტო მედიცინის ცოდნას, არამედ ეთიკურ და სამართლებრივ საკითხებს, პაციენტთან და კოლეგებთან ურთიერთობას. შესაბამისად, ამ კუთხით სასწავლო კურსები საჭიროებენ გაუმჯობესებასა და გაძლიერებას. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ „ჯანდაცვის სამართლის“ სასწავლო კურსი, რომელსაც ასწავლის იურისტი, ჯანდაცვის სფეროში მუშაობის გამოცდილება არ გააჩნია. გასათვალისწინებელია, რომ მხოლოდ იურიდიული საკითხების განხილვა თემატიკას ვერ ამოწურავს, ამიტომ სასურველია აღნიშნული საგნის სწავლებში დამატებით სხვა, შესაბამისი გამოცდილების მქონე, პირის ჩართვაც. საბჭოს წევრმა ასევე ითხოვა იმის დაზუსტება, თუ რამდენად გამოიყენება ამბულატორიულ გარემოში სწავლება, რაშიც ასევე იგულისხმება საოჯახო მედიცინა.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ სრულიად იზიარებს საბჭოს წევრთა მოსაზრებას, შესაბამისად დაწესებულება აქტიურად გეგმავს საკითხის გაუმჯობესებასა და დახვეწას.

## **სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო: 15:40**

**დასრულების დრო: 17:10**

## **აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა**

საკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მამიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული საერთო შეფასება, კერძოდ, მე - 5 სტანდარტები ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. საბჭომ რამდენიმე რეკომენდაცია დაამატა/ამოიღო/გადაიტანა რჩევებში, ასევე რამდენიმე რეკომენდაციას შეუცვალა ფორმულირება.

## **დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები**

1. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის პროგრესის მონიტორინგის პროცესები გახდეს მკაფიო;

2. რეკომენდებულია პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ იყოს გაზომვადი;
3. რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგები და გამახვილდეს ყურადღება სტუდენტის პროფესიონალიზმის, როგორც კომპეტენციის გამომუშავებაზე;
4. რეკომენდებულია, სიზუსტისა და თანამიმდევრულობის მიზნით, გადაიხედოს და სადაც საჭიროა შესწორდეს სილაბუსებში ასახული ინფორმაცია საათობრივი განაწილების შესახებ;
5. რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო მოდულების (კურსების) წინაპირობები;
6. სილაბუსებში უნდა გადაისინჯოს სწავლის შედეგების შეფასების კრიტერიუმები: შეფასების მეთოდები უნდა პასუხობდეს კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს და უნდა შეფასდეს თითოეული კურსის ყველა სწავლის შედეგი;
7. რეკომენდებულია მოძველებული წიგნები ჩანაცვლდეს ახალი გამოცემებით. იმ შემთხვევაში, თუკი ქართულენოვანი ლიტერატურა არ არის გამოცემული, საჭიროა მომზადდეს ე.წ. „ჰენდაუთები“ როგორც ელექტრონული, ასევე ბეჭდური ფორმით;
8. რეკომენდებულია გადაიხედოს სავალდებულო და არჩევითი კურსები (მაგ. ტუბერკულოზი, მეტაბოლური და პლასტიკური ქირურგია და სხვა);
9. რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსები (მაგ. შესავალი პროფესიაში, კლინიკური უნარები 1-5), რომლებიც ორიენტირებულია სტუდენტისთვის ეთიკური და სამართლებრივი საკითხების ცოდნისა და მათი პრაქტიკაში გამოყენების უნარზე და მკაფიოდ ჩამოყალიბდეს სწავლებისა და შეფასების მეთოდები კლინიკური სწავლების დროს;
10. სტუდენტთა შეფასების მეთოდები უნდა პასუხობდეს თითოეული კურსის სწავლის შედეგებს;
11. კლინიკურ უნარების შეფასების მიზნით რეკომენდებულია OSCE გამოცდების სრულყოფა თანამდროვე მოთხოვნების შესაბამისად და ჩატარდეს აკადემიური პერსონალის შესაბამისი ტრენინგი;
12. რეკომენდირებულია, დაიხვეწოს შეფასების კრიტერიუმები 360-გრადუსით შეფასების მეთოდში, განისაზღვროს მისი შესატყვისობა სწავლის შედეგებთან და გადამზადდეს ყველა მონაწილე შემფასებელი;
13. უნივერსიტეტმა უნდა განამტკიცოს საერთაშორისო კავშირები; შექმნას უნივერსიტეტის გარეთ სტუდენტთა საერთაშორისო მობილობისა და პროექტებსა და კონფერენციებში მონაწილეობის მეტი შესაძლებლობა;
14. რეკომენდებულია განხორციელდეს აკადემიური პერსონალის რეგულარული ტრენინგები სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში (სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდები);
15. რეკომენდებულია, OSCE საგამოცდო ცენტრის შემდგომი განვითარება, რათა შესაძლებელი იყოს OSCE გამოცდების გაფართოება პროგრამის ფარგლებში დამატებითი ასპექტებისთვის;
16. რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ყურადღება გაამახვილოს თანამედროვე შეფასების მეთოდების სრულყოფაზე და დანერგვაზე;
17. რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები პროგრამის განვითარებისა და სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.

## რჩევები:

1. სასურველია, საუნივერსიტეტო გამოცდების მეშვეობით, განისაზღვროს იმ საგნების საბაზისო ცოდნა, რომლებიც საჭიროა აბიტურიენტებისთვის (მათთვის ვინც ჩაირიცხება ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე) მედიცინის პროგრამაზე სასწავლებლად, მაგალითად ბიოლოგიის ან ქიმიის საგნების;
2. მოძველებული წიგნების საკითხი გარდაუვალად წარმოადგენს პერიოდულ პრობლემას და იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა სტუდენტებისგან მოითხოვს საბაზისო კვლევითი უნარების სწავლას (GCP NIDA სასწავლო ონლაინ პლატფორმის მეშვეობით, რომელიც ინგლისურენოვანია) და რომ მედიცინის სამყაროში არსებული ლიტერატურა უმეტესად

ინგლისურენოვანია, სტუდენტები უნდა წახალისდნენ, რომ განვიითარონ ინგლისური ენის ცოდნის უნარები, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს წაიკითხონ ლიტერატურა ქართულენოვანი სახელმძღვანელოების გარდა, რამდენადაც ეს უკანასკნელი დიდი ალბათობით, მალე მოძველდება და ნაკლებად ზუსტი იქნება სამედიცინო ცოდნისა და კლინიკური პრაქტიკის თვალსაზრისით;

3. კლინიკების მიერ სათანადო რაოდენობის პაციენტებზე წვდომის დაშვების შესაძლებლობა ყველა კლინიკური საგნის მასშტაბით შესაძლოა შეიცვალოს ინტეგრირებული კურიკულუმის შემდგომ განვითარებასთან ერთად და სასურველია უნივერსიტეტი ყურადღებით განიხილავდეს ამ საკითხს;
4. მეტი ყურადღება დაეთმოს სწავლებას პირველადი ჯანდაცვის დონეზე და ამბულატორიულ პრაქტიკაში;
5. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სასურველია განიხილოს პროგრამის საწყის ფაზაში მიღწევების შესამოწმებლად ესეების გამოყენების საკითხი და ნაცვლად ამისა, დანერგოს ონლაინ შეფასებები, მრავალარჩევითიანი SBA/EMI შეფასებების ფორმატით. ეს შესაძლებელს გახდის უფრო ზუსტად შემოწმდეს სტუდენტის ცოდნა და ცოდნის გამოყენება და გაზრდის სხვადასხვა მოდულებით მოპოვებული ცოდნის ინტეგრირებას. დამატებითი სარგებელი არის ის, რომ ქულების მინიჭების პროცესი შეიძლება გახდეს უფრო ეფექტიანი და ნაკლებ ცვალებადი, რაც საერთო ჯამში გაზრდის სტანდარტიზაციას;
6. უნივერსიტეტმა სასურველია იფიქროს იმაზე, თუ როგორ გახადოს „ჯგუფის კურატორის“ როლი უფრო მკაფიო სტუდენტებისთვის, რათა მოხდეს ასეთი როლის არსებობით განსაზღვრული სარგებლის რეალიზება;
7. არსებული ლაბორატორიების გამოსაყენებლად სხვადასხვა პროგრამებისთვის დადგენილი უნდა იყოს გრაფიკი;
8. პროგრამის საწყის ფაზაში შეფასებების სახით ესეების გამოყენება უნდა იყოს ხარისხით უზრუნველყოფილი ზომიერების პროცესის დანერგვის ხარჯზე, როგორც ინდივიდუალურ მოდულებში, თუკი ფასდება ერთზე მეტი შემფასებლის მიერ და ასევე ყველა მოდულის მასშტაბით, თითოეულ სემესტრში;
9. ურთიერთობები, რომლებიც ბსუ-ს აქვს კოლეგებთან სხვა ქართულ სამედიცინო სკოლებში, რომლებიც სთავაზობენ რჩევებს პროგრამის განვითარებასა და განხორციელებაში, შესაძლოა კიდევ უფრო გაუმჯობესდეს პროგრამაზე ზოგიერთი ამ უფროსი კოლეგის „გარე გამომცდელად“ მოწვევის გზით, რაც შესაძლებელს გახდის რეგულარულ კონტროლს, გაუმჯობესების მიზნით იმ ადამიანებისგან რჩევების მიღებით, რომლებიც მსგავს კონტექსტსა და გარემოში მუშაობენ.
10. რამდენადაც უნივერსიტეტი ცდილობს საკუთარ პროგრამაზე მიიღოს ინფორმაცია და რჩევები უცხოური უნივერსიტეტებიდან, საამისოდ ერთ-ერთი შესაძლო მიდგომა იქნება პერსონალისა და სტუდენტთა მოკლევადიანი გაცვლითი პროგრამების მოძიება, იმ მოლოდინით, რომ უნივერსიტეტიდან ამ პროგრამით გაგზავნილი პირები დაბრუნების შემდეგ საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებენ კოლეგებს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მედიცინის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენითა და მონიტორინგის განხორციელების პირობით.

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 30

წინააღმდეგი - 0

**გადაწვეტილება:**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3<sup>1</sup> პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3<sup>1</sup> პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 31-ე მუხლის მე - 2, მე - 5 პუნქტების, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მედიცინის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენითა და მონიტორინგის განხორციელების პირობით.

**17:11- საბჭოს სხდომას შეუერთდა საბჭოს თავმჯდომარე, ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანი აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup>-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანი.**

**მეორე საკითხი:** შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის „სამართლის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	ინფორმაციასაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -8
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0421 სამართალი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	56
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0186, ქ.თბილისი, კალისტრატე ქუთათელაძის ქუჩა N3
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

## საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

## საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადა- ეკატერინე ნაცვლიშვილმა

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

## მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

### ექსპერტების პოზიციის განხილვა

#### საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამაზე აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის “აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის „სამართლის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შესახებ” ბრძანების შესაბამისად, 2021 წლის 23 ივნისს დისტანციურად. შეფასება განხორციელდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით. შესრულდა ყველა დაგეგმილი აქტივობა, ინტერვიუ და მონიტორინგი. დაწესებულებამ ჯეროვნად უზრუნველყო აკრედიტაციის ჯგუფის მუშაობისთვის ყველა საჭირო ან მოთხოვნილი პირობის შესრულება. ვიზიტის ბოლოს, იმავე დღეს ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გაუზიარა სამართლის სადოქტორო პროგრამის შესახებ ვიზიტის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებული ძირითადი მიგნებები. შეფასების მიმდინარეობისას გაუთვალისწინებელ ან ხელისშემშლელ ფაქტებს/ექსცესებს ადგილი არ ჰქონია.

შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის „სამართლის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

**პირველსტანდარტი** \_ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეორესტანდარტი** \_ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მესამესტანდარტი** \_ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეოთხესტანდარტი** \_ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა- შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეხუთესტანდარტი** \_ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

#### ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაცია:

1. რეკომენდებულია დაწესებულებამ მკაფიოდ ჩამოაყალიბოს და დაადგინოს შესაბამის საუნივერსიტეტო სამართლებრივ აქტებში, აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემის მომწესრიგებელი პროცედურები, რომელიც საშუალებას მისცემს მას დააბალანსოს პერსონალის დატვირთვა,

მათი ფუნქცია-მოვალეობების გათვალისწინებით, ყველა იმ უსდ-ის მონაცემების გათვალისწინებით სადაც არის დასაქმებული

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ ინსტიტუცია იზიარებს რეკომენდაციას მოწვეული პერსონალის ნაწილში. აფილირებული და აკადემიური პერსონალის ნაწილში საკითხი დარეგულირებულია. რაც შეეხება რჩევებს, მათი დიდი ნაწილი უკვე გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ. ინსტიტუცია მზადაა უზრუნველყოს თითოეული დაინტერესებული დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევით მივლინებას საზღვარგარეთ.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამა საკმაოდ დახვეწილია. დასაფასებელია ასევე განსაზღვრული ლიტერატურაც, განსაკუთრებით გერმანული. საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ როგორ ხდება სადოქტორო ნაშრომის თემის არჩევა. გარდა ამისა, საბჭოს წევრმა ისაუბრა კვლევითი სემინარის შესახებ და დაინტერესდა თუ რა თემაზე იმუშავებს სემინარის ფარგლებში სტუდენტი, იქნება ეს სადოქტორო თემა თუ მომიჯნავე. საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა, თუ ვის შეუძლია იყოს სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელი.

საბჭოს წევრმა, გიორგი დაღანიძემ აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შრომის ბაზრის ანალიზი, თავად დარგის სპეციფიკიდან და სწავლების საფეხურიდან გამომდინარე საჭიროა უფრო სიღრმისეული და სპეციფიური კვლევა. საბჭოს წევრმა ასევე დააზუსტა თუ როგორ ხდება დოქტორანტების კვლევების დაფინანსება.

საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ დააზუსტა აქვს თუ არა დაწესებულებას თანახელმძღვანელობის გამოცდილება.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ინსტიტუციაში წინასწარ არის დამტკიცებული სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობა. პროგრამას ჰყავს მხოლოდ რამდენიმე მოწვეული პერსონალი, ისიც კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე. დაწესებულებას არჩეული აქვს ცენტრალურ ევროპული მიდგომა, კერძოდ მხოლოდ და მხოლოდ იმ თემებზე იქნება შესაძლებელი დისერტაციის დაცვა, რომლის კვალიფიკაციაც აქვს ინსტიტუციის პერსონალს. სადისერტაციო კოლეგიიდან წინასწარ არის განსაზღვრული იმ პერსონალის სია, რომელსაც კონკრეტულ სემესტრში აჰყავს დოქტორანტი. დოკუმენტში ასევე მოცემულია პერსონალის დეტალური კვლევის სფერო და შესაბამისად შემდგომ ტარდება ღია კარის დღე. დოქტორანტი კი ვალდებულია წარმოადგინოს კვლევის პროექტი.

რაც შეეხება თანახელმძღვანელობის საკითხს, აღნიშნული დასაშვები და წახალისებულია ძირითადად უცხოელი თანახელმძღვანელის არსებობის შემთხვევაში. დაწესებულება სისხლის სამართლის კუთხით თანამშრომლობს ლუბლინის უნივერსიტეტთან, რაც შეეხება საჯარო სამართალს, აღნიშნული იფარება უკრაინის კათოლიკური უნივერსიტეტისა და ლუმსას უნივერსიტეტის მიერ, ასევე კერძო სამართალში ლილისა და ლიონის უნივერსიტეტების მიერ. აქედან გამომდინარე დაფარულია ყველა პრობლემური მიმართულება. პროგრამა სტუდენტს ასევე აძლევს შესაძლებლობას დისერტაცია დაიცვას უცხო ენაზე და შესაბამისად, რეგულაციის მიხედვით მას აუცილებლად უნდა ჰყავდეს უცხოელი თანახელმძღვანელი ან ხელმძღვანელი, თუმცა რა თქმა უნდა ნაშრომი ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზეც.



მნიშვნელოვანია ასევე კვლევის დაფინანსების საკითხი, რაც ასევე განსაზღვრულია ცენტრალური ბიუჯეტით და მოიცავს დოქტორანტების კვლევის დაფინანსებას, საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნების დაფინანსებას, მათ შორის ერთობლივი კვლევების დაფინანსებასაც. რაც შეეხება შრომის ბაზრის ანალიზს, პროგრამის შემუშავების პროცესში მოწვეულნი იყვნენ უნივერსიტეტების წარმომადგენლები, სადისერტაციო საბჭოს წარმომადგენლები, ექსპერტები, როგორც ქართველები, ასევე უცხოელები. რაც შეეხება ხარისხობრივ მაჩვენებელს, აღნიშნული ნამდვილად იყო უზრუნველყოფილი. იმდენად დიდია მოთხოვნა სამართლის სადოქტორო პროგრამაზე, რომ დაწესებულების მიერ არ ჩატარებულა კლასიკური შრომის ბაზრის კვლევა, ვინაიდან აღნიშნული არის სამეცნიერო-კვლევითი პროგრამა. მოცემული პროგრამა არ არის გათვლილი მოგებაზე, ეს არის პროგრამა, რომელიც აუცილებლად უნდა ჰქონდეს უნივერსიტეტს, რომ სამეცნიერო-კვლევით განვითარებაში შეიტანოს წვლილი.

რაც შეეხება კვლევით სემინარს, ორი ყველაზე პრობლემური თემატიკის მიხედვით არის შერჩეული, ესენია სამართლის მეთოდები და შედარებითი სამართალი. ორივე კვლევის მეთოდი სჭირდება დოქტორანტს რომ დისერტაცია მიიყვანოს ბოლომდე, თუმცა სილაბუსებშიც არის აღნიშნული, რომ კვლევითი სემინარის ფარგლებში დოქტორანტს ეკრძალება თავის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული ნაშრომის შესრულება, იმ მიზნით, რომ აღნიშნული არ ჩაითვალოს დუბლირებაში.

საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ აღნიშნა, რომ პროგრამის აღწერილობაში არის შემდეგი ჩანაწერი, რომ სადოქტორო ნაშრომის დაცვა შესაძლებელია მე-6 სემესტრში. სავარაუდოდ აღნიშნულში იგულისხმება არაუადრეს მე-6 სემესტრისა, თუმცა ჩანაწერის მიხედვით ჩანს, რომ მომდევნო სემესტრებში დაცვის შესაძლებლობას დოქტორანტი მოკლებულია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დებულებაში მოცემულია თუ როგორ ხდება მე-6 და შემდეგ სემესტრებში დაცვა, თუმცა სიცხადისთვის საკითხი გათვალისწინებული იქნება ასევე პროგრამის აღწერილობაშიც.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო: 17:42**

**დასრულების დრო: 17:51**

**აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:**

საკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული საერთო შეფასება. საბჭომ დაამატა რამდენიმე რჩევა.

**დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაცია:**

რეკომენდებულია დაწესებულებამ მკაფიოდ ჩამოაყალიბოს და დაადგინოს შესაბამის საუნივერსიტეტო სამართლებრივ აქტებში, აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემის მომწესრიგებელი პროცედურები, რომელიც საშუალებას მისცემს მას დააბალანსოს პერსონალის დატვირთვა, მათი ფუნქცია-მოვალეობების გათვალისწინებით, ყველა იმ უსდ-ის მონაცემების გათვალისწინებით სადაც არის დასაქმებული.

**რჩევები**

1. იმისათვის, რომ პროგრამამ იპოვოს საკუთარი ნიშა სადოქტორო პროგრამების კონკურენტულ ბაზარზე სასურველია უსდ-მ მოახდინოს „თემატური ბრენდირება“ - საწყის ეტაპზე სამართლის დოქტორანტურის ძლიერი მიმართულებების ირგვლივ რესურსის მობილიზება, რათა პოტენციური მსურველისთვის წინასწარ იყოს ცხადი პროგრამის ძლიერი მხარეები თემატური კომპეტენციის (მათ შორის ადამიანური რესურსის) თვალსაზრისით. პილოტური სახით, უმჯობესია თუ თავდაპირველი მიღებების

- კონცენტრაციის არეალი წინასწარ განისაზღვრება 2-3 ძირითადი მიმართულებით, რომლის პროგრამულ და მარკეტინგულ მხარდაჭერასაც უზრუნველყოფს უნივერსიტეტი;
2. სასურველია გაფართოვდეს შრომის ბაზრის კვლევის არეალი და დაზუსტდეს კვლევაში მონაწილე სუბიექტები;
  3. სასურველია პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მოწესრიგებული იყოს დოქტორანტურის დებულებით და გარკვეულწილად საგანმანათლებლო პროგრამაც შეიცავდეს/ავსებდეს შესაბამის ინფორმაციას;
  4. სასურველია, პროგრამის სტრუქტურის აღწერილობაში დაზუსტდეს ჩანაწერი სადისერტაციო ნაშრომის დაცვის ვადასთან დაკავშირებით;
  5. სასურველია გაძლიერდეს თანამშრომლობა ქართულ სამეცნიერო-კვლევით, საგანმანათლებლო და სხვა ორგანიზაცია/დაწესებულებებთან და გაფორმდეს შესაბამისი მემორანდუმები;
  6. მიზანშეწონილია დაზუსტდეს და უფრო კონკრეტულად გაიწეროს შესაბამის საუნივერსიტეტო აქტებში, აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნის თანახმად, საჭიროების შემთხვევაში სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური პროგრამის შემუშავებისა და რეგულირების პროცედურები;
  7. სასურველია პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ს დაუწესდეთ დოქტორანტთა ხელმძღვანელობის მაქსიმალური რაოდენობრივი ზღვარი;
  8. გადაიხედოს და შეივსოს ინფორმაციით დაწესებულების ცალკეული მარეგულირებელი და პროცედურის აღმწერი წესი (რომელზეც მსჯელობა გვექონდა აღწერით ნაწილში უწინარეს ყოვლისა), რაც მნიშვნელოვანია ინსტიტუციის სამომავლო ცვლილებისათვის;
  9. ინსტიტუციაში ხარისხის კულტურის გაძლიერებისა და ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე სიახლეებისა და გამოწვევების ინპლემენტაციის მიზნით სასურველია განათლების ქართველ და უცხოელ ექსპერტთა ჩართულობით მომზადდეს “ვორკშოპები” და სემინარები საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და დამსაქმებელთათვის;

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის „სამართლის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 4 წლის ვადით.

#### **კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

#### **გადაწყვეტილება:**

“უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3<sup>1</sup> პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3<sup>1</sup> პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის „სამართლის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით.

**მესამე საკითხი:** შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ავტორიზებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2018 წლის 21 ნოემბრის N89
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0102, ქ.თბილისი, ჯურხა ნადირაძის ქუჩა N46, N01.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

✓ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა**

**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შპს თბილისის თავისუფალ აკადემიაში 2021 წლის 17 ივნისს ონლაინ რეჟიმში, zoom პლატფორმის

მეშვეობით, განხორციელდა ვიზიტი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. აკრედიტაციის ვიზიტი წარიმართა კოლეგიალურ და თანამშრომლობით გარემოში. გასაუბრებები მიმდინარეობდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის შესაბამისად აკადემიის ადმინისტრაციასთან (საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო), თვითმეფასების ჯგუფის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, საგანმანათლებლო პროგრამის აქტიურ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და აქტიურ თუ პოტენციურ დამსაქმებლებთან. დაწესებულების წარმომადგენლებს მიეცათ საკმარისი დრო წარმოედგინათ თავიანთი მოსაზრებები, მიღწეული შედეგები, მტკიცებულებები და არსებული გამოწვევები თითოეულ სტანდარტთან მიმართებაში. ექსპერტები დეტალურად გაეცნენ დაწესებულების მიერ წინასწარ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, თუმცა უფრო მეტი სიცხადისთვის ვიზიტის მსვლელობის დროს გამოითხოვეს დამატებითი ინფორმაცია/მტკიცებულებები.

შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

**პირველისტანდარტი** – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეორესტანდარტი** – სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მესამესტანდარტი** – სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეოთხესტანდარტი** – სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეხუთესტანდარტი** – სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:**

1. რეკომენდირებულია, გატარდეს ქმედითი აქტივობები პროგრამის განხორციელებაში ჩართული თითოეული პირის ინფორმირებულობის დონის ამაღლების კუთხით შემდეგი მიმართულებებით: პროგრამის სწავლის მიზნების შესაბამისობის დადგენა პროგრამის სწავლის შედეგებთან, სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევადობის გაზომვის ინსტრუმენტები, პროგრამის/სასწავლო კურსის სწავლის მიზნებისა და შედეგების შეფასების პროცესები და ანალიზის შედეგების გამოყენების მეთოდები პროგრამის და/ან სასწავლო კურსის გაუმჯობესების მიზნით.
2. პროგრამულ დოკუმენტებში მოხდეს ხარვეზის გამოსწორება, კერძოდ, ძალადაკარგული 2010 წლის 10 დეკემბერის №120/ნ ბრძანების ჩანაცვლება და კოლეჯმა კვალიფიკაციის მინიჭება განახორციელოს განახლებული საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 10/04/2019 №69/ნ ბრძანების შესაბამისად.
3. საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში, საჭიროა გადაიხედოს საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების პროპორცია, საკონტაქტო საათების ოდენობა მნიშვნელოვნად ნაკლები უნდა იყოს ვიდრე 180 საათი, კომპონენტისთვის დათმობილ 500 საათში;
4. საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მასში მიზნების, ამოცანების და კვლევის მეთოდოლოგიის ნაწილის წარმოდგენას რათა მიღწეული იქნას სტუდენტთა პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარება;

5. უნდა მოხდეს სწავლება-სწავლის მეთოდის, შესაბამისი აქტივობების გამოჯვნა, როგორც სილაბუსებში, ასევე პროგრამაში, „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №3 ბრძანების შესაბამისად;
6. აკადემიის მიერ სხვადასხვა ღონისძიებების გატარება ინტერნაციონალიზაციის გასაძლიერებლად, საერთაშორისო აქტივობებში აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით (მ.შ. დაფინანსების გათვალისწინება ბიუჯეტში);
7. უფრო მეტად გამოიკვეთოს პროგრამის ბიუჯეტის ბმა აკადემიის მისიასთან. გამოიყოს მეტი ფინანსური რესურსი ინტერნაციონალიზაციის მიმართულების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო აქტივობის გასაძლიერებლად, აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებაში პერსონალის მეტად მდგრადობის უზრუნველსაყოფად.
8. აუცილებელია მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოვიდეს „პროგრამის/პროგრამების შემუშავების ინსტრუქციაში“ არსებული ჩანაწერები, რომელიც ადგენენ მოთხოვნებს პროგრამისადმი;
9. აუცილებელია მოხდეს მარეგულირებელი დოკუმენტებით გათვალისწინებული ყველა არსებული მექანიზმის ამოქმედება პროგრამის როგორ შიდა, ისე გარე შეფასების მიზნით;
10. ინფორმაციის სისტემატური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით უნდა მოხდეს პროგრამის ყველა ასპექტის, ასევე პროგრამის მდგრადობისა და ეფექტიანობის კომპლექსური შეფასება და შედეგების ანალიზი - უნდა იყოს უზრუნველყოფილი პროგრამის ხარისხის შეფასებისა და განვითარების პროცესების მომწესრიგებელ რეგულაციებში დადგენილი შეფასებისა და კონტროლის ყველა მექანიზმის (მათ შორის, სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა-გამოყენება, პროგრამების შეფასება SWOT ანალიზის მეშვეობით) სრულად გამოყენება. გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული შეფასების შედეგები უნდა იყოს დოკუმენტირებული და გაზიარებული დაინტერესებული მხარეებისათვის;
11. პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის შედარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ რეკომენდაციების ნაწილი დაწესებულებამ უკვე გაითვალისწინა და მომავალშიც გეგმავს აუცილებელი ცვლილებების გატარებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ტექნიკურ ხარვეზზე საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან მიმართებით და განმარტა, რომ პროგრამა სრულად შეესაბამება საქართველოს განათლების მინისტრი 69N ბრძანებას, რაც ექსპერტთა დასკვნაშიც არის მოცემული. შესაბამისად, აღნიშნული წარმომადგენდა მხოლოდ და მხოლოდ ტექნიკურ ხარვეზს, რომელიც უკვე გამოსწორებულია.

მნიშვნელოვანია ასევე ინტერნაციონალიზაციისა და ბიუჯეტის საკითხი, კერძოდ აკადემიის სრულებით აქვს გათავისებული ინტერნაციონალიზაციის მნიშვნელოვნება, მათ შორის ფინანსური კუთხითაც. ინტერნაციონალიზაცია და მასთან დაკავშირებული ღონისძიებები საბოლოო ჯამში აკადემიისთვის წარმოადგენს ფინანსური მოგების წყაროს, ამიტომ ნებისმიერი დახარჯული თანხმა მოცემული მიმართულებით განიხილება როგორც ინვესტიცია, რომელიც დროთა განმავლობაში ბრუნდება. ის ღონისძიებები, რომლებიც ტარდება საგარეო ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, ყოველთვის ფინანსურად კომპენსირდება შიდა ინტერნაციონალიზაციით. გარდა ამისა, პირდაპირი და ირიბი მოგების წყაროებია საერთო კვლევები, პროექტები, ტრენინგები და ა.შ. დაწესებულება მუშაობს გონივრული ბიუჯეტირების ფარგლებში, თუმცა ის რაც აკადემიისთვის აუცილებელია და მოგების მომტანია, ეს არის ინტერნაციონალიზაცია, რაზეც თანხები ყოველთვის არის და ყოველთვის იქნება.

## **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ შრომის ბაზრის კვლევის ფარგლებში გამოიკითხა მხოლოდ 7 დამსაქმებელი, შესაბამისად უფრო ვალიდური შედეგებისთვის უმჯობესია არეალის გაფართოება. გარდა ამისა, არ არის მოცემული პროგრამული ბიუჯეტი, აქედან გამომდინარე, საჭირო იქნება მისი ფორმირება. საბჭოს წევრმა ასევე ისაუბრა სილაბუსებში მოცემულ ლიტერატურასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ გამოყენებულია ძირითადად ქართული ლიტერატურა, მაშინ როცა არსებობს საერთაშორისო სახელმძღვანელოების თარგმნები და მოუწოდა დაწესებულებას თავისი პოზიციის დაფიქსირებისკენ.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ დოკუმენტებში მოცემულია განათლების პირველი საფეხური, რაც წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს, რადგან იგულისხმება უმაღლესი განათლების პირველი საფეხური, რაც მნიშვნელოვანია რომ დაკონკრეტდეს.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ ქეისის ანალიზი ნაკლებად გამოიყენება პროგრამის ფარგლებში და მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის დაზუსტებისკენ.

## **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით განმარტა, რომ კვლევის ფარგლებში გამოიკითხნენ კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და აბიტურიენტები. რაც შეეხება დამსაქმებლებს, დაწესებულება სისტემატურ რეჟიმში აფორმებს მემორანდუმებს დამსაქმებლებთან და რა თქმა უნდა ერთი წლის შემდგომ პროგრამის გაუმჯობესების კუთხით კვლავ ჩატარდება კვლევა და დამსაქმებელთა რიცხვი აუცილებლად იქნება გაზრდილი. გამოკითხული 7 დამსაქმებელი, არის ის ორგანიზაციები, რომლებთანაც დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობს. დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ასევე ბიუჯეტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ინსტიტუციას აქვს როგორც ფაკულტეტების, ასევე ცენტრალური ბიუჯეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანმა დააზუსტა თუ რამდენ პროგრამას მოიცავს ფაკულტეტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მიმდინარე წელს აკადემიამ მიიღო სამ დამატებით პროგრამაზე აკრედიტაცია და შესაბამისად, შეიცვალა მიდგომა, კერძოდ ადრე ფაკულტეტზე ერთი პროგრამა იყო და სახელწოდებაც მას სხვა ჰქონდა, ამჟამად კი შეიცვალა სახელწოდებაც და თითოეულ პროგრამას განესაზღვრა საკუთარი ბიუჯეტი.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს პირველი რეკომენდაციის დაზუსტებისკენ.

ინსტიტუციის წარმომადგენელმა ისაუბრა ლიტერატურასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ სამი გამომცემლობაა ძირითადად საქართველოში, რომლებიც სასწავლო-სალექციო კურსებს ბეჭდავენ. დაწესებულებას მემორანდუმი აქვს გაფორმებული სამივე გამომცემლობასთან. სამწუხაროდ ქართულენოვანი ლიტერატურა საკმაოდ მწირია, თუმცა რაც არის ნათარგმნი ქართულ ენაზე ყველა წარმოდგენილია ძირითად ლიტერატურაში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ აკადემიაში არსებული რუქებისა და სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის/წესის მიუხედავად, ინტერვიუების დროს გამოვლინდა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის გარკვეული ნაწილი არ ფლობს სრულყოფილ ინფორმაციას პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის შესახებ და ვერ ასაბუთებს მათი კონკრეტული სასწავლო კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების ბმას საგანმანათლებლო პროგრამის ზოგად მიზნებთან და სწავლის შედეგებთან.

შესაბამისად, რეკომენდირებულია, გატარდეს ქმედითი აქტივობები პროგრამის განხორციელებაში ჩართული თითოეული პირის ინფორმირებულობის დონის ამაღლების კუთხით შემდეგი მიმართულებებით: პროგრამის სწავლის მიზნების შესაბამისობის დადგენა პროგრამის სწავლის შედეგებთან, სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევადობის გაზომვის ინსტრუმენტები, პროგრამის/სასწავლო კურსის სწავლის მიზნებისა და შედეგების შეფასების პროცესები და ანალიზის შედეგების გამოყენების მეთოდები პროგრამის და/ან სასწავლო კურსის გაუმჯობესების მიზნით. ასევე სასურველია, გაუმჯობესდეს შეფასების შედეგების გამოყენების დოკუმენტირება პროგრამის გაუმჯობესების პროცესებში. თუმცა აღნიშნული არ წარმოადგენს დაბრკოლებას პროგრამის განხორციელებისთვის.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამის ფარგლებში გამოიყენება ქეისის ანალიზი, რომელიც განსაზღვრულია სხვადასხვა სილაბუსებით. პროგრამაში გამოყენებულია 41 სწავლა-სწავლების მეთოდი.

საბჭოს წევრმა ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ სამწუხაროდ სილაბუსებიდან არ ჩანს 41 მეთოდის გამოყენება.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო: 18:25**

**დასრულების დრო: 18:51**

**აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:**

საკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული საერთო შეფასება, თუმცა საბჭომ რამდენიმე რეკომენდაცია დაამატა/გადაიტანა რჩევებში, ასევე, რამდენიმე რეკომენდაციას შეუცვალა ფორმულირება.

**დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:**

1. პროგრამულ დოკუმენტებში მოხდეს ხარვეზის გამოსწორება, კერძოდ, 2010 წლის 10 დეკემბერის №120/ნ ძალადაკარგული ბრძანების ჩანაცვლება და კვალიფიკაციის მინიჭება განხორციელდეს განახლებული საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 10/04/2019 №69/ნ ბრძანების შესაბამისად;
2. რეკომენდებულია რიგი სასწავლო კურსებში უფრო ფართოდ იქნეს გამოყენებული ქეისის ანალიზი, როგორც სწავლებისა და შეფასების მეთოდი;
3. საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში, საჭიროა გადაიხედოს საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების პროპორცია, საკონტაქტო საათების ოდენობა მნიშვნელოვნად ნაკლები უნდა იყოს ვიდრე 180 საათი, კომპონენტისთვის დათმობილ 500 საათში;
4. საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მასში მიზნების, ამოცანების და კვლევის მეთოდოლოგიის ნაწილის წარმოდგენას რათა მიღწეული იქნას სტუდენტთა პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარება;
5. უნდა მოხდეს სწავლება-სწავლის მეთოდის, შესაბამისი აქტივობების გამიჯვნა, როგორც სილაბუსებში ასევე პროგრამაში, „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №3 ბრძანების შესაბამისად;
6. რეკომენდირებულია ცალკეულ სასწავლო კურსებში სწავლების მეთოდები დაზუსტდეს კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგების შესაბამისად;
7. რეკომენდირებულია ცალკეულ სასწავლო კურსებში შეფასების მეთოდები დაზუსტდეს კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგების შესაბამისად;

8. აკადემიის მიერ სხვადასხვა დონისძიებების გატარება ინტერნაციონალიზაციის გასაძლიერებლად, საერთაშორისო აქტივობებში აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით (მ.შ. დაფინანსების გათვალისწინება ბიუჯეტში);
9. რეკომენდირებულია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა;
10. რეკომენდებულია სრულად ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები პროგრამის განვითარების მიზნით;
11. ინფორმაციის სისტემატური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით უნდა მოხდეს პროგრამის ყველა ასპექტის, ასევე პროგრამის მდგრადობისა და ეფექტიანობის კომპლექსური შეფასება და შედეგების ანალიზი - უნდა იყოს უზრუნველყოფილი პროგრამის ხარისხის შეფასებისა და განვითარების პროცესების მომწესრიგებელ რეგულაციებში დადგენილი შეფასებისა და კონტროლის ყველა მექანიზმის სრულად გამოყენება.
12. პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის შედარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით;

### რჩევები:

1. არჩევით სასწავლო კურსებსაც განესაზღვროთ შესაბამისი წინაპირობები სტუდენტთა მიერ სასწავლო მასალის მარტივად დაძლევის მიზნით;
2. სასურველია დაინტერესებული მხარეებთან ჩატარებული კვლევების შედეგების ანალიზის საპასუხოდ განხორციელებული აქტივობების /განხორციელებული ცვლილებების სისტემური დოკუმენტირება;
3. რამდენადაც საბაკალავრო ნაშრომი პროგრამის სავალდებულო კომპონენტია და ეთმობა 20 კრედიტი, სასურველია მასში გაძლიერდეს კვლევითი კომპონენტი საველე სამუშაოებისა და პირველადი მონაცემების მოპოვება/ დამუშავების აქტიური ინტეგრირებით. ასევე სასურველია ბიზნესის კვლევების სასწავლო კურსის დამატება საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობად;
4. სასურველია პროგრამას დაემატოს “მმართველობითი აღრიცხვა” არჩევითი სასწავლო კურსის სახით;
5. კარგი იქნება თუ მაღალი კურსების სასწავლო კომპონენტებში, დამხმარე ლიტერატურაში დაამატებენ ინგლისურენოვან ბოლოდროინდელ გამოცემებს, რადგან ქართულად არსებული სახელმძღვანელოები შედარებით მწირია;
6. კარგი იქნება თუ სტუდენტს მიეცემა საშუალება წინასწარ შეამოწმოს ნაშრომი პლაგიატზე და საბოლოო დაცვამდე შეამციროს ნაშრომში დაფიქსირებული პლაგიატის დონე;
7. ზოგიერთ კურსში, მაგალითად პრაქტიკა და საბაკალავრო ნაშრომი, მოცემულია შეფასების კრიტერიუმი მაქსიმალური ქულით, თუმცა არ არის დაკონკრეტებული ამ კრიტერიუმის ქულათა რანჟირება, სასურველია ასეთ კურსებში დაკონკრეტდეს ქულათა რანჟირების კრიტერიუმები;
8. საგამოცდო ცენტრის მოწყობა, საგამოცდო პროცესის შესაბამის გარემოში წარმართვისა და ორგანიზებულად ჩატარების მიზნით;
9. სასურველია გატარდეს მეტი ქმედითი აქტივობები პროგრამის განხორციელებაში ჩართული თითოეული პირის ინფორმირებულობის დონის ამაღლების კუთხით შემდეგი მიმართულებებით: პროგრამის სწავლის მიზნების შესაბამისობის დადგენა პროგრამის სწავლის შედეგებთან, სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევადობის გაზომვის ინსტრუმენტები, პროგრამის/სასწავლო კურსის სწავლის მიზნებისა და შედეგების შეფასების პროცესები და ანალიზის შედეგების გამოყენების მეთოდები პროგრამის და/ან სასწავლო კურსის გაუმჯობესების მიზნით;
10. მიზანშეწონილია პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს წინასწარ განსაზღვრული, გონივრული პერიოდულობით, ყველა იმ მექანიზმის გამოყენებით, რომელიც



დაწესებულებამ თავადვე დაადგინა, მათ შორის გარე შეფასების პროცესში საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობის ნაწილში;

- მიზანშეწონილია გადაიხედოს კითხვარებში რესპოდენტებისათვის დასმული კითხვებისა და შესაძლო პასუხების ფორმულირება პროგრამის თავისებურებების გათვალისწინების მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3<sup>1</sup> პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3<sup>1</sup> პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელიწადში რეკომენდაციის შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

**მეოთხე საკითხი:** ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -7
9	კვალიფიკაციის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერების მაგისტრი
10		-

	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0179, ქ.თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 53ა.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

✓ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა**

**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 29-30 ივნისს. 28 ივნისს განხორციელდა წინა სააკრედიტაციო შეხვედრა, სადაც ექსპერტების მხრიდან მოხდა პროგრამასთან დაკავშირებული საკითხების შეჯერება. 2021 წლის 29 ივნისს განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება ადგილზე. 29 ივნისს ვიზიტი წარიმართა წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით Online რეჟიმში. გაიმართა შეხვედრები: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ ლექტორებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან გასაუბრება. ვიზიტის დასასრულს დაწესებულების წარმომადგენლებს წარედგინათ ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერებების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

**პირველი სტანდარტი** – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეორე სტანდარტი** – სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მესამე სტანდარტი** – სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეოთხე სტანდარტი** – სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეხუთე სტანდარტი** – სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:**

1. სწავლის შედეგების რუკა გაიწეროს ისე, რომ პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი სამივე დონეზე განვითარდეს.
2. მკაფიოდ განისაზღვროს სამიზნე ნიშნულები და ამ ნიშნულებზე გასვლის პროცედურა.
3. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში მიეთითოს ცოდნის არეები, რომელიც აუცილებელია პროგრამის დასაძლევად.
4. გაწერილი იქნას მისაღები გამოცდის თემები შესაბამისი ლიტერატურის მითითებით.
5. განისაზღვროს საგნებზე დაშვების წინაპირობები.
6. საგნებში: არარელაციური მონაცემთა ბაზები, დიზაინის ნიმუშების გადრმავებული კურსი, მონაცემთა ვიზუალიზაცია დაემატოს საგნების შინაარსს თეორიული საკითხები.
7. საგნებისთვის, რომელთა სწავლება იგეგმება დისტანციურად მკაფიოდ გაიწეროს ელექტრონული სწავლების რომელი მეთოდის გამოყენება მოხდება, როგორი სცენარით და ტექნიკით.
8. უდს-მ უფრო მეტად გაააქტიუროს მუშაობა სამეცნიერო ბაზებთან სტუდენტების ინფორმირებულობასთან დაკავშირებით. ასევე კონფერენციების და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად.
9. მკაფიოდ განისაზღვროს მაგისტრანტის ხელმძღვანელის მოთხოვნები მოწვეული პერსონალისთვის.
10. აუცილებელია, ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის მიერ გააქტიურდეს მუშაობა პროგრამის მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან სწავლის შედეგების მართებულად ჩამოყალიბების მიმართულებით (დაემატოს „ცოდნა და გაცნობიერების“, არსებობის შემთხვევაში კი, „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ სწავლის შედეგები), რაც შემდგომ ეტაპზე გაამარტივებს პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების პროცესებს.
11. ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურმა სწავლის შედეგების ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით გააქტიუროს მუშაობა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და ამ მიზნით დაეგმოს მიზნობრივი ტრენინგები და/ან სამუშაო შეხვედრები.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებზე, კერძოდ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს მოცემულ რეკომენდაციას. სასწავლო კურსები მეტწილად მსგავსად არის დაგეგმილი, თუმცა წარდგენილ ცხრილში იყო ტექნიკური ხარვეზი, რამაც განაპირობა ექსპერტების მოცემული რეკომენდაცია.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, აღნიშნული ეხებოდა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს. დაწესებულება სრულიად იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციას. მიუხედავად იმისა, რომ მოხდა მეთოდების განახლება, ვიზიტის დროს მოცემული არ იყო აღნიშნული დოკუმენტებში.

დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით ინსტიტუციის წარმომადგენელმა განმარტა, რომ წინაპირობებთან დაკავშირებით დაწესებულებას უკვე განსაზღვრული აქვს ცოდნის არეები და შედგენილი აქვს საკითხები. რაც შეეხება სასწავლო კურსებს, თითოეულ მათგანს აქვს განსაზღვრული დაშვების წინაპირობები, თუმცა სამაგისტრო ნაშრომზე გამორჩენილი იყო წინაპირობები. შესაბამისად, ექსპერტთა რეკომენდაცია მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული.

დაწესებულება ნაკლებად იზიარებს ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ მე-6 რეკომენდაციას, კერძოდ „დიზაინის ნიმუშების და ვიზუალიზაცია“ სასწავლო კურსებს ისეთ შედეგებზე გაჰყავთ სტუდენტი, რაც პრაქტიკულ უნარებს უკავშირდება. დიზაინის ნიმუშები ვერანაირად ვერ იქნება თეორიის შემცველი, რადგან განმარტების თანახმად საუკეთესო პრაქტიკების გამოცდილების აღწერაა. გარდა ამისა, მეცნიერება და მეცნიერული კომპონენტი შესაძლოა არ უკავშირდებოდეს თეორიას. სამივე ჩამოთვლილი საგნის სილაბუსი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს კვლევითი უნარების განვითარებას სტუდენტებისთვის პრაქტიკების და დავალებების სისტემის შეთავაზების გზით. გარდა ამისა, სილაბუსი არარელაციური მონაცემთა ბაზები შეიცავს თეორიულ მასალასაც, კერძოდ მე-10, მე-11, მე-12 თემებში მოიაზრება სხვადასხვა არარელაციური ბაზის სპეციფიკის, მათ შრის თეორიული ასპექტების მიმოხილვა.

მე-7 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტი იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციას და შესაბამისად აუცილებელი ასპექტები იქნება გაწერილი.

რაც შეეხება სამეცნიერო ბაზებს, დაწესებულება გეგმავს ლიცენზიების შეძენას, რაც უფრო მეტად გაამარტივებს გამოყენების პროცესსაც. ინსტიტუცია გეგმავს ბაზებთან დაკავშირებით მეტად გააქტიურებას და შესაბამისად იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციას.

მე-9 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინსტიტუციას მაგისტრანტის ხელმძღვანელობისთვის მოაზრებული ჰყავს კონკრეტული პერსონალი, რომელიც ჩართულია პროგრამაში და რომელსაც აქვს დოქტორის ხარისხი, ან მაგისტრის ხარისხი, მაგრამ გამოქვეყნებული აქვს სტატია. დაწესებულება ეთანხმება ექსპერტთა მიერ მოცემულ რეკომენდაციასაც.

ინსტიტუცია ასევე იზიარებს ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ მე-10 და მე-11 რეკომენდაციებს, შესაბამისად მოხდება აუცილებელი ცვლილებების გატარება.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ აღნიშნა, რომ შრომის ბაზრის კვლევა წარმოდგენილია უფრო მეტად კომპილაციური ნაშრომის სახით, ვიდრე როგორც კვლევა. დოკუმენტის მიხედვით არ ჩანს კვლევის მეთოდი, გამოკითხული რესპოდენტები და მათი რაოდენობა. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ ხელშეკრულებებსა და მემორანდუმებში მოცემულია მხოლოდ ერთი ფაილი, რომელიც ადასტურებს მემორანდუმის არსებობას ხალიკ ბანკთან. შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა აქვს თუ არა დაწესებულებას დადებული სხვა ხელშეკრულებები თუ მემორანდუმები.

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ აღნიშნა, რომ კომპეტენციებში არ არის გამოყოფილი ცოდნა და გაცნობიერება. გარდა ამისა, ის დაინტერესდა, თვლის თუ არა ინსტიტუცია, რომ მათემატიკისა და ფიზიკისთვის განსაზღვრული კრედიტები არის საკმარისი.

საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ აღნიშნა, რომ შრომის ბაზრის კვლევა არარელევანტურია. გარდა ამისა დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სკოლის ბიუჯეტი, აღნიშნული არ იქნებოდა

პრობლემა, სკოლა რომ ყოფილიყო ერთი მიმართულების, მაგრამ სკოლა რამდენიმე მიმართულებას მოიცავს, შესაბამისად მისთვის რთულია დასკვნის გამოტანა, რომ განსახილველი პროგრამა ფინანსურად მდგრადია.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ მათემატიკისთვის განსაზღვრულია 26 საათი, რაც არ არის საკმარისი და მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს პოზიციის დაფიქსირებისკენ.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კვლევაში დაწესებულება ძირითადად ორ წყაროს ეყრდნობა, პირველი არის მოწვეული პერსონალის მიერ ჩატარებული კვლევა, ხოლო მეორე არის ლინკდინის კვლევა.

რაც შეეხება თანამშრომლობის საკითხს, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინსტიტუციას ასევე გაფორმებული აქვს მემორანდუმი ბაზის ბანკთან, ასევე საქართველოს ბანკთან. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტებისთვის გაგზავნილი იქნა მხოლოდ ერთი მემორანდუმი, რომელიც აღინიშნა საბჭოს წევრის მიერ.

ინსტიტუციის წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებას არ აქვს დაჯგუფებული კომპეტენციები, თუმცა პროგრამა მოიცავს ყველა ტიპის კომპეტენციას. ინსტიტუცია გეგმავს კომპეტენციების გამოკვეთას რიგ სასწავლო კურსებში, თუმცა მაინც მიიჩნევს რომ კომპეტენციები სათანადოდ არის წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში.

რაც შეეხება მათემატიკის სწავლებას, 5 კრედიტი არის განსაზღვრული იმისთვის, რომ არ მოხდეს იმ ადამიანების დაბრკოლება, რომლებსაც აქვთ მიღებული განათლება ამ კუთხით. მათემატიკა, რაც სჭირდება კომპიუტერულ მეცნიერებას, სერიოზულად განსხვავდება კლასიკური აღრიცხვისგან.

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ აღნიშნა, რომ 5 კრედიტის ფარგლებში მათემატიკის ცოდნა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ სტუდენტმა შემდეგ შექმნას ხელოვნური ინტელექტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამის ფარგლებში არსებული ბალანსი საკმარისია შედეგის მისაღწევად. რაც შეეხება ბიუჯეტს, დაწესებულებას პროგრამის ყველა დეტალი აქვს განხილული და სამომავლოდ ყველა პროგრამას ექნება განსაზღვრული თავისი ინდივიდუალური ბიუჯეტი.

### **სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო: 19:43**

**დასრულების დრო: 20:13**

### **აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:**

საკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მადიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული საერთო შეფასება, კერძოდ, მე - 3 და მე - 5 სტანდარტები, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. საბჭომ რამდენიმე რეკომენდაცია დაამატა/გადაიტანა რჩევებში, ასევე, რამდენიმე რეკომენდაციას შეუცვალა ფორმულირება.

### **დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:**

1. სწავლის შედეგების რუკა გაიწეროს ისე, რომ პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი სამივე დონეზე განვითარდეს. მკაფიოდ განისაზღვროს სამიზნე ნიშნულები და ამ ნიშნულებზე გასვლის პროცედურა;

2. მიზანშეწონილია უკეთესად იქნას გამოყოფილი ცოდნა და გაცნობიერების კომპეტენციები, შესაბამისი აქტიური ზმნების გამოყენებით;
3. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
4. გაწერილი იქნას მისაღები გამოცდის თემები შესაბამისი ლიტერატურის მითითებით;
5. მიზანშეწონილია პროგრამაზე დაშვების წინაპირობა მოვიდეს შესაბამისობაში კომპიუტერული მეცნიერებათა მაგისტრის კვალიფიკაციასთან მათემატიკისა და დაპროგრამების საფუძვლებზე წაყენებული მოთხოვნების გაზრდით;
6. რეკომენდირებულია რიგ სასწავლო კურსებზე დაზუსტდეს დაშვების წინაპირობები;
7. რეკომენდირებულია სასწავლო კურსებში: „არარელაციური მონაცემთა ბაზები“, „დიზაინის ნიმუშების გაღრმავებული კურსი“, „მონაცემთა ვიზუალიზაცია“ გამდიდრდეს შინაარსი, თეორიული საკითხები.
8. რეკომენდირებულია რიგ სასწავლო კურსებში გადაიხედოს სწავლის შედეგები და შესაბამისობაში მოვიდეს სწავლების საფეხურთან;
9. საგნებისთვის, რომელთა სწავლება შესაძლებელია განხორციელდეს დისტანციურად შესაბამისად დადგენილ პერიოდში, მკაფიოდ გაიწეროს ელექტრონული სწავლების რომელი მეთოდის გამოყენება მოხდება, როგორი ფორმატით და ტექნიკური რესურსით;
10. მკაფიოდ განისაზღვროს მაგისტრანტის ხელმძღვანელის მოთხოვნები მოწვეული პერსონალისთვის;
11. რეკომენდირებულია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა;
12. რეკომენდირებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები პროგრამის განვითარების მიზნით.

## რჩევები:

1. პროგრამის შედეგების უკეთ გაზომვის მიზნით სასურველია პროგრამის შედეგებში გამოყენებული იქნას მოქმედების გამომხატველი ზმნები არაუმეტეს ორი ზმნისა;
2. გამოიკვეთოს დისციპლინები, რომლებიც უზრუნველყოფენ გუნდურ მუშაობას;
3. სასურველია უდს-მ უფრო მეტად გაააქტიუროს მუშაობა სამეცნიერო ბაზებთან სტუდენტების ინფორმირებულობასთან დაკავშირებით. ასევე კონფერენციების და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად;
4. სასურველია ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების გაცნობისა და საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესში მათი ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით;
5. სასურველია ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის მიერ გააქტიურდეს მუშაობა პროგრამის მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან სწავლის შედეგების მართებულად ჩამოყალიბების მიმართულებით (დაემატოს „ცოდნა და გაცნობიერების“, არსებობის შემთხვევაში კი, „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ სწავლის შედეგები), რაც შემდგომ ეტაპზე გაამარტივებს პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების პროცესებს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 4 აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

## კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება**

„უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3<sup>1</sup> პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3<sup>1</sup> პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

**საბჭოს სხდომა დასრულდა 20:15საათზე**

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო  
თავმჯდომარე  
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო  
სხდომის თავმჯდომარე  
იმნაძე ნინო

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო  
საბჭოს მდივანი  
შენგელია მარიამ